დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს 2018 წლის 4 აპრილის N4 სხდომასა და წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 5 აპრილის N 3 სხდომაზე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში

სასწავლო პროცესში ჩართულ მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი

მუხლი 1.გავრცელების სფერო

1.1. ეს წესი ვრცელდება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში სასწავლო პროცესში ჩართულ მოწვეულ პერსონალზე და არეგულირებს მათი საქმიანობის შეფასების სისტემას.

მუხლი 2. შესრულებული სამუშაოს შეფასების მიზანი

2.1. შესრულებული სამუშაოს შეფასება უზრუნველყოფს ფორმალური და სისტემური მიდგომის გამოყენებით განისაზღვროს მოწვეული პერსონალის მიერ უნივერსიტეტის საქმიანობაში ინდივიდუალურად შეტანილი წვლილი, სწავლების პროცესის შემდგომი გაუმჯობესებისა და განვითარების მუდმივი პროცესის ხელშეწყობის მიზნით. ამასთან, სამუშაოს შეფასების მიზანია, განხორციელდეს:

- უნივერსიტეტის სტრატეგიულ ამოცანებთან - მისიასა და ხედვასთან მოწვეული პერსონალის საქმიანობის მაქსიმალური შესაბამისობის უზრუნველყოფა, საერთო მიზნების ეფექტურად მიღწევის თვალსაზრისით;
- ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირება;
- თანამშრომლისათვის, მის მიერ შესრულებული სამუშაოს მიმართ არსებული მოლოდინების სიცხადე;
- თანამშრომლებთან კომუნიკაცია;
- საქმიანობით კმაყოფილების ზრდა და მოტივაციის გაუმჯობესება.

მუხლი 3. შეფასების კრიტერიუმები

3.1ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში მოწვეული პერსონალის ჩართულობა სწავლების პროცესში მოიცავს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო და პრაქტიკული/ლაბორატორიული/ექსპერიმენტალური/საველე და ა.შ. კომპონენტების განხორციელებას და უზრუნველყოფას.

3.2 მოწვეული პერსონალი შეიძლება იყოს ჩართული ცოდნის ტრანსფერში და ხელმძღვანელობდეს საბაკალავრო ან/და სამაგისტრო ნაშრომებს;

3.3.ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული პერსონალი ვალდებულია ჩაატაროს შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული საკონტაქტო საათების რაოდენობა ამ მუხლის 3.1. პუნქტით გათვალისწინებულ რომელიმე კომპომენტში.

მუხლი 4. შეფასების პროცესის ვადები და ინსტრუმენტი

4.1 მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასება ილიას სახელწმიფო უნივერსიტეტში განხორციელდება ფორმალური გზით, ყოველსემესტრულად, წინასწარ შერჩეული ინსტრუმენტით.

4.2 შეფასების ინსტრუმენტად გამოყენებული იქნება სტუდენტთა გამოკითხვის კითხვარები, სტუდენტების აკადემიური მოსწრების განაწილების მაჩვენებელი.

4.3 4.2 პუნქტში გათვალისწინებული მონაცემების შეგროვებისთვის გამოყენებული იქნება ელექტრონული სისტემა „არგუსი“ .

4.4 ფაკულტეტების, სკოლების ან უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ინიცირებით, ამ მუხლით განსაზღვრულ შეფასების ინსტრუმენტებზე დამატებით შეიძლება განისაზღვროს სხვა ინსტრუმენტები და მექანიზმები.

მუხლი 5. შესრულებული სამუშაოს შეფასების შედეგების მართვა

5.1.შესრულებული სამუშაოს შეფასების შედეგების მართვის, მასზე უკუკავშირის მიზანია უნივერსიტეტში გაუმჯობესდეს სწავლების ხარისხი თითოეული მოწვეული პერსონალის თანამონაწილეობით, ხელი შეეწყოს ამ მხრივ განვითარების პროცესს და შედეგად წარმატებით განხორციელდეს უნივერსიტეტის სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების მიღწევა.

5.2 მოწვეული პერსონალის შეფასების შედეგების ანალიზს და საჭიროების შემთხვევაში უკუკავშირის მიცემას უზრუნველყოფს ფაკულტეტის/სკოლის ადმინისტრაცია (დეკანის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლის მონაწილეობით).

5.3 შეფასების შედეგების საფუძველზე შესაძლებელია დაიგეგმოს კონკრეტულ ლექტორთან ან კურსთან მიმართებაში სიღრმისეული შეფასება (მაგ. ფოკუს ჯგუფების, სიღრმისეული ინტერვიუების, დაკვირვების და ა.შ. გამოყენებით);

5.4 შეფასების შედეგად გამოვლენილი ყოველი პრობლემური შემთხვევა განიხილება ინდივიდუალურად ფაკულტეტის/სკოლის მიერ. მოწვეულ პერსონალს ეძლევა შესაძლებლობა გააუმჯობესოს მიღებული შედეგი, ხოლო უარყოფითი შედეგის დადგენილ ვადაში გამოუსწორებლობის შემთხვევაში შესაძლოა დადგეს მოწვეული პერსონალის შრომითი ხელშეკრულების პირობების გადახედვის საკითხი.

მუხლი 6. წესის ამოქმედების ვადა

6.1 გატეს წესი ამოქმედდება 2018 წლის 1 ოქტომბრიდან. ამ თარიღიდან განხორციელდება შესრულებული სამუშაოს შეფასება და შესაბამისად, პირველი შესაფასებელი პერიოდის ათვლა იწყება 2018 წლის 1 ოქტომბერს.